ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1927 წლის სექტემბრის 15	№ 16 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 183. სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულებათაგან კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლებში მივლინებულ მომუშავეთათვის შვებულების მიცემის შესახებ.

„ 184. გლეხთა მოსახლეობისათვის ა/კ. რკ. გზ. სადგურებიდან მისაცემი წყლის გადასაზიდავად ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

„ 185. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის შესახებ.

„ 186. ლენინგრადის სამანქანო ტრესტის „კრასნი პუტილოვეც“-ის ქარხნის „Ф. П.“-ს ტრაქტორის სათადარიგო ნაწილებისა და ყოველი სისტემის საიმპორტო ტრაქტორის სათადარიგო ნაწილების უკიდურესი ფასების დაწესების შესახებ.

„ 187. ძირითადი ქიმიური მრეწველობის პროდუქტების ფასების შემცირების შესახებ.

„ 188. ფასების შემამცირებელი საუწყებათაშორისო კომისიების ლიკვიდაციის შესახებ.

„ 189. ქ. ლენინაკანსა და მის რაიონში სასოფლო საბინაო მშენებლობისათვის საჭირო შეშის გადასაზიდავად ადგილობრივი ტარიფის დაწესებისა და მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდში შეშის გადასაზიდავად დაწესებული ადგილობრივი წამახალისებელი სასეზონო ტარიფის მოქმედების განგრძობის შესახებ.

„ 190. სარაიონო სტატისტიკოსების შესანახად საჭირო ხარჯების შესახებ.

„ 191. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-11 მუხ. დამატების შესახებ.

„ 192. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-11 მუხ. „დ“ პუნ. შეცვლისა და 22 მუხლის დამატების შესახებ.

„ 193. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ საერთო-საკავშირო უწყებათა ხარჯთაღრიცხვების განხილვის წესის შესახებ.

„ 194. მუშათა და გლეხთა ინსპექციის უფლებათა გაფართოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 55 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. ივლისის 28.

183. სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულებათაგან კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლებში მივლინებულ მომუშავეთათვის შვებულების მიცემის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს: შემოღებულ იქნეს სამომედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. ივლისის 18-ს თარიღისა და 182 №-რის დადგენილება: „სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულებათაგან კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლებში მივლინებულ მომუშავეთათვის შვებულების მიცემის შესახებ".

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სატარ.-საკონფ.

განყ. გამგის მაგიერ **ათაბეკოვი.**

დადგენილება № 182 სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. ივლისის 18.

სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულებათაგან კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლებში მივლინებულ მომუშავეთათვის შვებულების მიცემის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს: დაეკალოს ყველა სახელმწიფო საწარმოსა და დაწესებულებას, თავისი მომუშავების კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლებში მივლინების დროს, მისცეს ხოლმე მათ შვებულება სასწავლებლებში შესვლისათვის მოსამზადებლად, ჯამაგირის დატოვებით, შემდეგი ვადით:

ა) ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის კომუნისტური აღზრდის აკადემიაში, მოსკოვის პოლიტგანათლების ინსტიტუტში, ბელორუსიისა, ამიერკავკასიისა, შუაზიისა და სარატოვის კომუნისტურ უნივერსიტეტში მივლინებულთ—1 თვე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) თათრულ კომუნისტურ უნივერსიტეტში, ი. მარხლევსკის სახელობის დასავლეთის ეროვნულ უმცირესობათა კომუნისტურ უნივერსიტეტში და ჟურნალისტობის სახელმწიფო ინსტიტუტში მივლინებულთ—1½ თვე;

გ) ლენინგრადის კომუნისტურ უნივერსიტეტში, ი. ბ. სტალინის სახელობის აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში, ი. მ. სვერდლოვის კომუნისტურ უნივერსიტეტში და ურალ-ციმბირის კომუნისტურ უნივერსიტეტში მივლინებულთ—2 თვე.

სსრკ შრომის სახალხო კომისარი **შმიდტი.**

შრ. სახ. კ-ტის სატარ.-საკონფ. განყ. გამგის მაგიერ **კორშუნოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1565 №-ში 1927 წ. სექტემბრის 1-ს

დადგენილება აკ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

1927 წ. აგვისტოს 30. № 13/P.

184. გლეხთა მოსახლეობისათვის ა/კ. რკ. გზ. სადგურებიდან მისაცემი წყლის გადასაზიდავად ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

თანახმად ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. მარტის 15-ს დადგენილებისა და ამ დადგენილების განსაკუთრებულად სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) მიერ იმავე წლის ნოემბრის 12-ს დამტკიცებული ინსტრუქციისა „ადგილობრივ დაწესებულებათათვის, პირთათვის და გლეხთა მოსახლეობისათვის სარკინისგზო წყლის მიცემის წესის შესახებ"—ამა დადგენილებით დაწესდება შემდეგი ადგილობრივი ტარიფი გლეხთა მოსახლეობისათვის ა/კ. რკ. გზ. სადგურებიდან მისაცემი წყლის გადასაზიდავად 140 კილომეტრე არა უმეტეს მანძილისა:

1. გლეხთა მოსახლეობისათვის ა/კ. რკ. გზ. სადგურებიდან ზემოაღნიშნული ინსტრუქციის მე-5 პარ. თანახმად მისაცემი წყლის გადასაზიდავად ტონნა-კილომეტრზე—1 (ერთი) კაპ.

2. ადგილობრივი, არა-სარკინისგზო, დაწესებულებისა და ქალაქის მოსახლეობისათვის იმავე ინსტრუქციის მე-6 პარ. თანახმად მისაცემი წყლის გადასაზიდავად რჩება მომქმედი საერთო ტარიფი (25 კლას. 1,15 კაპ. ტონნა-კილომეტრზე).

3. სარკინისგზო დაწესებულებათათვის წყლის გადაზიდვა სწარმოებს მომქმედი სამსახურებრივი ტარიფით (0,57 კაპ. ტონნა-კილომეტრზე.

ტარიფი ესე შემოიღება სამოქმედოდ შვიდი დღის გასვლისას ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან და დაწესდება ერთი წლის ვადით.

ა/კ. რკ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო
სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მაგიერ **გვერდწითელი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა
მმართველის თან. აღმასრ. უფრ. ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1565 №-ში 1927 წ. სექტემბრის 1-ს.

დადგენილება № 64 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. აგვისტოს 31.

185. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

გამოცხადებულ იქნეს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე—ა/წ. სექტემბრის 2—აზერბაიჯანის სსრ-ში და სექტემბრის 4—საქართველოს სსრ-სა და სომხეთის სსრ-ში სადღესასწაულო, უქმე-დღედ მთლად ა/კსფსრ ახალგაზრდობისათვის.

ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საწარმო და. დაწესებულება, რომელიც კი კვირა-დღეს (უქმე-დღეს) მუშაობს, მოვალეა ახალგაზრდობის ამ საერთაშორისო დღეს გაანთავისუფლოს ახალგაზრდობა ასაკით 23 წლამდე ყოველგვარი მუშაობისაგან, სამუშაო ხელფასის შენარჩუნებით.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის საერთო-საორგ. განყ. გამგე **მელნიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1566 №-ში 1927 წ. სექტემბრის 2-ს.

დადგენილება № 16 ა/კსფსრ ვაჭროგის სახალხო კომისარიატისა

(სამრეწვ. და სასურსათო საქონლის სამმართველო)

1927 წ. აგვისტოს 26.

186. ლენინგრადის სამანქანო ტრესტის „კრასნი პუტილოვეც"-ის ქარხნის ფ. П.-ს ტრაქტორის სათადარიგო ნაწილებისა და ყოველი სისტემის საიმპორტო ტრაქტორის სათადარიგო ნაწილების უკიდურესი ფასების დაწესების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნქტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წ. მაისის 25-ს თარიღის დადგენილების თანახმად, ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ლენინგრადის სამანქანო ტრესტის „წითელი პუტილოვეც“-ის ქარხნის ნაწარმოებ „Ф. П.“-ის ტრაქტორის სათადარიგო ნაწილებზე საგასაცემო ცალობითი საგასაყიდო ფასები მოიმბარებლისათვის, ა/კსფსრ-ის რა პუნქტშიაც უნდა იყოს, ფრახტისა, ორგანიზაციის ზედნადები და საორგანიზაციო ხარჯებისა, მოგებისა და სხვ. ამგვარი რამის ჩათვლით, და ზედნადები ხარჯებისა და ნაწილების ღირებულების საერთო თანხის უცხოეთის ვალიუტაზე გადატანით,—2 მან. და 55 კაპ. 1 (ერთ დოლარზე) ფორღის კატალოგით.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლი გავრცელებულ იქნეს ყველა სისტემის საიმპორტო ტრაქტორის სათადარიგო ნაწილებზე.

3. ა/კ.-თვის სასოფლო-სამეურნო მანქანების მიმწოდებელი სააქციო საზოგადოების მიერ მოვაჭრე ორგანიზაციებთან ყველა ტიპის ტრაქტორის საიმპორტო სათადარიგო ნაწილებისა და სატრაქტორო გუთნებისათვის ანგარიშის გასწორების პირობები მოწესრიგდება ხელშეკრულების წესით, ხოლო იმ პირობით, რომ საგასაცემო საბითუმო ფასები არ აღემატებოდეს 2 მანეთს 1 დოლარზე ფირმის კატალოგით ფრანკო-პორტი ბათუმი.

4. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

სამრეწველო და სასურ. სამმართ. უფ. **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **გნატიუკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1569 №-ში 1927 წ. სექტემბრის 6-ს.

დადგენილება № 7 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(სამრეწველო და სასურსათო საქონლის სამმართველო)

1927 წ. ივნისის 29.

187. ძირითადი ქიმიური მრეწველობის პროდუქტების ფასების შემცირების შესახებ.

ამერიკაკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღის დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტისა და სსრკ სა-

ხალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა/წ. აპრილის 26-ს თარიღის ბრძანების თანახმად, ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი შემცირებული ფასები ძირითადი ქიმიური მრეწველობის პროდუქტებზე 1 ტონნა ნეტო ფრანკო-ქარხანა:

		წინად არსებული ფასები	შემცირების %.
1.	შაბიამანის ზეთი 92%	95 მან.	111 მან. და 02 კაპ.	14,5
2.	მარილის სიმჟავე 18-°	84 მან.	88 მან. და 45 კაპ.	5,13
3.	სულფატი	41 მან.	41 მან. და 50 კაპ.	1,20
4.	სოდა კაუსტიკური	195 მან.	207 მან. და 41 კაპ.	5,99
5.	სოდა ბიკარბონატი	110 მან.	140 მან. და 30 კაპ.	21,60
6.	ბისულფიტი 36-°	110 მან.	112 მან. და 85 კაპ.	11,40
7.	ჰიპოსულფიტი	290 მან.	366 მან.	20,80
8.	ჰიპოსულფიტი ფოტო	460 მან.	488 მან.	6,30
9.	რკინის შაბიამანი	57 მ. 50 კ.	61 მან.	5,75
10.	ნიშადურის ფხვნილი არა უმეტეს 1,5% შედგენილობისა (სტანდ.)	620 მან.	884 მან.	29,86
11.	ქლორ-კარი 32%	220 მან.	244 მან.	9,80
12.	ბორა	500 მან.	610 მან.	16,7
13.	ბორის სიმჟავე (დაუწმენდავი)	800 მან.	920 მან.	13.
14.	„ „ (სააფთიაქო)	1000 მან.	1230 მან.	18.
15.	გოგირდ-მჟავა ნიკელი (ნიკელის შაბიამანი)	800 მან.	923 მან.	13,40
16.	ტყვიის მარილი (აზოტ-მჟავა ტყვია)	1200 მან.	1220 მან.	1,60.
17.	გოგირდის სიმჟავე	53 მან.		
18.	გაკალციუმირული სოდა	73 მან.		
19.	გოგირდ-მჟავა თიხნარი	128 მან.		
20.	ალიუმინირული შაბი	295 მან.		

2) ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებული ფასები გავრცელებულ იქნეს წინად დადებულ ხელშეკრულობათა იმ ნაწილზე, რომელიც შეეხება ა/წ. აპრილის 1-დე დაუტვირთავ პროდუქციას.

3. ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

4) ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

5) დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

სამრეწველო და სასურსათო საქონლის
სამართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **გნატიუკი.**

გადაბეჭდილია „ზარია ვოსტოკა“-ს 1570 №-ში 1927 წ. სექტემბრის 7-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 33 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

188. ფასების შემამცირებელი საუწყებათაშორისო კომისიების ლიკვიდაციის შესახებ.

რადგანაც გაცხოველებული პერიოდი ფასების შემცირების კომპანიისა უკვე დამთავრდა,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. იანვრის 27-ს თარიღისა და მე-5 №-რის დადგენილებით (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-რი, მუხ. 31) დაარსებული ფასების შემამცირებელი საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებობს,—გაუქმებულ იქნეს.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გაუქმონ იგივე კომისიები, რომელნიც, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს აღნიშნული მე-5 №-რის დადგენილების თანახმად, მოწყობილ არიან ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებთან სათანადო რესპუბლიკებში.

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. თავმჯ. მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. საქ. მმართ. მოადგ. **ნ. სოკოლსკი.**

1927 წ. სექტემბრის 1. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1571 №-ში 1927 წ. სექტემბრის 8-ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

1927 წ. სექტემბრის 5. № 14/P.

189. ქალ. ლენინაკანსა და მის რაიონში სასოფლო საბინაო მშენებლობისათვის საჭირო შეშის გადასაზიდავად ადგილობრივი ტარიფის დაწესებისა და მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდში შეშის გადასაზიდავად დაწესებული ადგილობრივი წამახალისებელი სასეზონო ტარიფის მოქმედების განგრძობის შესახებ.

ქალ. ლენინაკანსა და მის რაიონში სასოფლო საბინაო მშენებლობისათვის საჭირო შეშის გადასაზიდავად ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

კახეთის რკინის გზისა და ა/კ. რკ. გზ. სამხრეთი ხაზის ყველა სადგურიდან ლენინაკანის სადგურამდე ვაგონობით შეშის (საქონელთა მომქმედი სატარიფო კლასიფიკაციის 31 ჯგუფი მთლად) გადასაზიდავად ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივ მიმოსელაში ამა დადგენილებით დაწესდება ადგილობრივი ტარიფი, 34

ეროვნული ბიბლიოთეკა

№-რის საშეღავათო სატვირთო ტარიფის ანალოგიით, მომქმედ საერთო (ნორმალურ) ტარიფის, აგრეთვე სათანადო შემთხვევაში — მე-100 №-რის საშეღავათო სატვირთო ტარიფის 25% მონაკლებით.

ტარიფი ესე დაწესდება არა უმეტეს 200 (ორასი) ვაგონი შეშის გადასაზიდავად და შეიფარდება იმ შემთხვევაში, უკეთუ ლენინაკანის სადგურზე წარდგენილ იქნება თვითეულ ცალკე შემთხვევაში ქალ. ლენინაკანის აღმადგენელი კომიტეტის მოწმობა, რითაც დამტკიცდება, რომ გადასაზიდი შეშა ნამდვილად სასოფლო საბინაო შშენებლობის საჭიროებისათვის არის დანიშნული.

ტარიფი ესე შემოიღება სამოქმედოდ შვიდი დღის გასვლისას დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა და დაწესდება ექვსი თვის ვადით ტარიფის შემოღების დღიდან.

მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდში ა/კ. რკ. გზით შეშის გადასაზიდავად დაწესებული ადგილობრივი წამახალისებელი საპრემიო სასეზონო ტარიფის მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის მიერ ა/წ. ივნისის 2-ს სხდომაზე მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდში ა/კ. რკ. გზით შეშის გადასაზიდავად დაწესებული—ვადით ა/წ. სექტემბრის 1-დე—67 №-რის ადგილობრივი წამახალისებელი საპრემიო სასეზონო ტარიფი, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 1498 №-ში ა/წ. ივნისის 10-ს და სსრკ რკინის გზების ტარიფთა კრებულის 427 №-ში 9296 №-რის ტარიფად,—ამა დადგენილებით განგრძობილია ა/წ. სექტემბრის 1-დან სექტემბრის 20-მდე.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათა-
შორისო სატარიფო თათბ. თავმჯდომარის მაგიერ **გვერდწითელი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა
მმართველის თანამდებ. აღმ. უფრ. ეკონ. **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1571 №-ში 1927 წ. სექტემბრის 8-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

190. სარაიონო სტატისტიკოსების შესანახად საჭირო ხარჯების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. განმარტებულ იქნეს, რომ ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) მე-11 მუხლის „გ" პუნქ-

ტის თანახმად, სარაიონო სტატისტიკოსების შესანახად საჭირო ხარჯები მიეკუთვნება ადგილობრივ სახსარს და რომ, 1927-28 საბიუჯეტო წლიდან დაწყებული, აღნიშნული ხარჯები ადგილობრივ სახსარს უნდა მიეკუთვნოს.

2. სარაიონო სტატისტიკოსები განწესებულ იქნენ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან და მათ მოვალეობად დაეკისროს ერთისა-და-იმავე დროს წარმართონ სტატისტიკის საქმე სათანადო რესპუბლიკანური ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დირექტივებით, უკანასკნელ შემთხვევაში ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით.

ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. თავმჯდ. მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. სექტემბრის 5.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1573 №-ში 1927 წ. სექტემბრის 10-ს

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

191. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-11 მუხლის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების 1926 აგვისტოს 9-ს თარიღის დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) მე-11 მუხლს დაემატოს პუნქტი „თ" შემდეგი შინაარსისა:

„თ) სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ყველა ორგანოსათვის სადგომების მიჩენისათვის საჭირო ხარჯი".

2. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-6 მუხლის გამონაკლისად დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1927 წ. ოქტომბრის 1-დან.

ა/კ. ცენტრალური აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. თავმჯ. მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. სექტემბრის 5. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1573 №-ში 1927 წ. სექტემბრის 10-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

192. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-11 მუხ. „დ“ პუნქტის შეცვლისა და 22 მუხ. დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) მე-11 მუხლის „დ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სახალხო სასამართლოებისა, მათი განსაკუთრებული სესსიებისა შრომის საქმეთათვის და მათთან განწესებულ სასამართლო აღმასრულებელთა, აგრეთვე საუბნო გამომძიებელთა შესანახი ხარჯები, მათ შორის ხარჯები სახალხო მსაჯულებისა, მოწმეებისა და ექსპერტებისათვის კანონით დაწესებული გასამრჯელოს მისაცემად“.

2. იმავე დებულების 22 მუხლს დაემატოს პუნქტი „მ“.

„მ“ გამოსაღები იმ ორგანოთა მიერ გამოტანილი დადგენილების აღსრულებისათვის, რომელთა შენახვაც მიკუთვნებული აქვს ადგილობრივ სახსარს“.

ა/კ. ცენტრალური აღმას. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდ. მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. სექტემბრის 5. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1573 №-ში 1927 წ. სექტემბრის 10-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

193. ა/სფსრ ტერიტორიაზე მომქმედ საერთო-საკავშირო უწყებათა ხარჯთაღრიცხვების განხილვის წესის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ, სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ საერთო-საკავშირო უწყებათა და გაერთიანებულ უწყებათა საერთო-საკავშირო ნაწილების ხარჯთაღრიცხვები, აგრეთვე ამ უწყებათა დასკვნები საკონტროლო ციფრე-

ბის შესახებ, საუწყებო ცენტრისათვის გაგზავნამდე, წარედგინება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს მის მიერ დადგენილ ვადაზე.

2. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი 1-ლ მუხლში აღნიშნული საკითხების გამო თავისი მოსაზრების ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში წარდგენასთან ერთად, წარუდგენს ამ მოსაზრებებს აგრეთვე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კოპიტეტის საბიუჯეტო კომისიას.

3. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს საბიუჯეტო კომისიის დასკვნითურთ.

ა/კ. ცენტრალური აღმას. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. სექტემბრის 5. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1575 №-ში 1927 წ. სექტემბრის 13-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

194. მუშათა და გლეხთა ინსპექციის უფლებათა გაფართოების შესახებ.

სცნობს-რა საჭიროდ მუშათა და გლეხთა ინსპექციის უფლებათა გაფართოებას, რათა ურყევად განხორციელებულ იქნეს მომეორნეობის რეჟიმი და ბრძოლა მეურნეობრივი უთაურობისა, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 13) მე-13 მუხ. შესაცვლელად, ადგენენ:

1. აღიარებულ იქნეს, რომ ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსათვის საბოლოოა და აღსრულებისათვის სავალდებულო ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დადგენილებანი შემდეგი საკითხების გამო:

ა) აღნუსხვისა და ანგარიშგების გამარტივებისა და შემოკლების შესახებ;

ბ) ზედმეტი ორგანოებისა და წარმომადგენლობების ლიკვიდაციის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ზედმეტი შტატების შემცირების შესახებ;

დ) ზედნადები ხარჯების შემოკლების შესახებ;

ე) დაწესებულებისა და საწარმოს ცალკე ნაწილის საორგანიზაციო აგებულების შეცვლის შესახებ;

ვ) აშკარა მეურნეობრივი უთაურობისა, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების გამო თანამდებობის პირთათვის სადისციპლინო გადასახდელის დადებისა და აგრეთვე მათი გადაყენების და დათხოვნის შესახებ.

უკეთუ ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ განზრახულ ღონისძიებათა განხორციელება მომქმედი კანონებისა და მთავრობის განკარგულების შეცვლას იწვევს, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი შეიტანს თავის წინადადებას ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში ან უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში—კუთვნილებისამებრ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ ანალოგიური ცვლილებანი რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებისა და მათი იდგილობრივი ორგანოების შესახებ გამოცემულ დადგენილებებში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმას.

კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმას-

რულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. სექტემბრის 5. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1575 №-ში 1927 წ. სექტემბრის 13-ს.

საქართ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 81. ტირაჟი 800.